სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

19/09/2024

MES 6 24 0001166218

„სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ“
სტუ-ის რექტორის 2024 წლის 05 აგვისტოს N 942405 ბრძანებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ,,სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ“სტუ-ის რექტორის 2024 წლის 5 აგვიტოს N 942405 ბრძანების პირველი პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, 2024-2025 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთათვის, რომლებმაც სსიპ – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ელექტრონულ პორტალზე (https://students.emis.ge) რეგისტრაციის შედეგად მოიპოვეს სტუ–ში მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება, განცხადება (დანართი 1) და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 2) უნდა წარმოადგინონ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2024 წლის 12 - 20 სექტემბრის

ჩათვლით (შაბათ-კვირის გარდა). საბუთები მიიღება 10 ^{00} სთ-დან - 16 ^{00} სთ-მდე; მისამართი: თბილისი; კოსტავას 77; ადმინისტრციული კორპუსი; მე-3 სართული; ოთახი 334;

2. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
წერეთელი თამარ